პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 23 აპრილი 1941 წ. № 95 (6100) ფასი 15 კაპ.

3677

გადაჭრით გავაუმჯობესოთ რკინიგზის ტრანსპორტის პარტორგანიზაციების მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციამ მკვეთრად დააყენა საკითხი პარტიული ორგანიზაციების მრეწველობისა და ტრანსპორტის საჭიროებისაკენ მობრუნების შესახებ. კონფერენციამ ახალ საფეხურზე აიყვანა მრეწველობისა და ტრანსპორტის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, დასახა უაღრესად ზუსტი, კონკრეტული გზები და საშუალებანი მათი მუშაობის არსებითად გარდაქმნისათვის, მუშაობაში ახალი სტილის დანერგვისათვის.

ამხანაგმა მალენკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სისტემატურად ჩასწვდნენ სამრეწველო საწარმოთა და რკინიგზების საქმეებს, გამოარკვიონ მათი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი და დაეხმარონ სამეურნეო ორგანიზაციებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობისათვის". ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად იბრძვის მუშაობის ახლებურად წარმართვისათვის...

...წუთზე. ე. ი. დაიგვიანა 6 საათი და 20 წუთი. ასეთი ფაქტები იშვიათი როდია. რით აიხსნება ეს? აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ორთქლმავლებს ზოგჯერ დროზე ვერ აბრუნებენ დეპოში, ხოლო, მეორე — თბილისის გზის განყოფილების სადისპეტჩერო უხეიროდ მუშაობს. აქ პარტორგანიზაციები თავს ჯერ კიდევ არ სთვლიან მოვალედ ასეთი ცალკეული ფაქტები გახადონ პარტიული ორგანიზაციის კრების მსჯელობის საგნად და მიიღონ ყოველგვარი ზომა მატარებლების მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვისათვის.

გზის სამტრედიის ვაგონშემკეთებელი პუნქტი არასაკმაო ყურადღებას აქცევს ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას. აქ ზოგიერთი კომუნისტი უშვებს წუნს, არ ასუფთავებენ დაზგებს, სრულიად უყურადღებოდ ჰყრია საწარმოო მოწყობილობა და იარაღები. პარტიული ბიურო ყოველივე ამას დამშვიდებით უცქერის, ხოლო გზის სამტრედიის პოლიტგანყოფილება და კვანძის პარტკომი თავს მოვალედ არ სთვლიან ყურადღება მიაქციონ პუნქტის მუშაობას...

ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის გაფართოება სოფელ შუშენსკოეში

შუშენსკოე (კრასნოიარსკის მხარე), 21 აპრილი (საქტასი). ხვალ იხსნება შუშენსკოეში ლენინის მუზეუმის ახალი შენობა სოფელ შუშენსკოეში, სადაც თავის დროს ლენინი ხშირად დადიოდა ამ სახლში.

ერთერთ ოთახში გამოფენილი იქნება ციმბირის გადასახლებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან დაკავშირებული დოკუმენტები — წერილები ნაწარმოებების, ლენინის ნადირობის და სხვა ადგილების ფოტოსურათები და სხვ. სამი ოთახი პარტიის ისტორიის მოსაფენად. მუზეუმის სახლის შენობაში ბიბლიოთეკა და სამკითხველო იხსნება.

პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად-საკავშირო სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება

20 აპრილს ოლქებისა, მხარეებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების ...

სტალინის პრემიების ლაურეატებისათვის დიპლომების გადაცემა

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინის პრემიების კომიტეტში

21 აპრილს სამხატვრო თეატრში სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელმძღვანელობით შესდგა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინის პრემიების კომიტეტის სხდომა. აქ დიპლომები გადაეცა სტალინის პრემიის ლაურეატთა დიდ ჯგუფს.

თეატრის ფართო ფოიეში შეიკრიბნენ სტალინის პრემიით დაჯილდოებული კომპოზიტორები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები, თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეები...

...არტისტები ა. კ. ტარასოვა, ვ. ვ. ბარსოვა, მ. დ. მიხაილოვი, მ. ო. რეიზენი და ი. ს. კოზლოვსკი, სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტი ო. ვ. ლეპეშინსკაია, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ს. ულანოვა, რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. მ. ჭაბუკიანი.

დიპლომებს იღებენ საბჭოთა კინემატოგრაფიის ოსტატები, შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებსაც მიეკუთვნათ სტალინის პრემია...

მეცნიერების და გამომგონებლობის დარგის სტალინის პრემიების კომიტეტში

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

დიდი აღმავლობა

თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. ფაბრიკამ აპრილის 18 დღის საწარმოო გეგმა 104,5 პროც. შეასრულა. გამოშვებულია 50.828 წყვილი ფეხსაცმელი.

საგამომჭრელო საამქროს საუკეთესო სტახანოველმა ამხ. ე. ხურცილავამ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას თვისრა აპრილის საწარმოო დავალების 115 პროც. შესრულება, ის კი დღიურ დავალებას 122,9 პროც. ასრულებს. ფაბრიკის მოწინავე სტახანოველები გ. ნალბანდიანი, შ. ხურცილავა, ს. კოსტანიანი, ოლღა ქოვნერი დავალებას 120-142 პროც. ასრულებენ. (საქდესი).

სახალხო მატარებლების უკეთესი ტარებისათვის

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის დისპეტჩერები, ელექტორისტები და სამგზავრო მატარებლების მემანქანეები, რომელნიც სანიმუშოდ ასრულებენ გრაფიკს.

13-დან 16 აპრილამდე სამგზავრო სამსახურის უფროსი დისპეტჩერის ცვლამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. კალაძე, შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა სამგზავრო მატარებლების მოძრაობაში. ამ დღეებში ყველა სამგზავრო მატარებელი მან გრაფიკის მტკიცედ დაცვით გაატარა. არ იყო დაგვიანების არცერთი შემთხვევა. მატარებლები ბოლო სადგურებზე თავის დროზე მიჰყავდათ. წარჩინებულად მუშაობენ სამგზავრო სამსახურის დისპეტჩერები: ამხ. კალაძე, მაღრაძე, მოძრაობის განყოფილების დისპეტჩერ - ელექტორისტები ამხ. ქუთათელაძე (სამტრედია), მაისურაძე (ხაშური), ჩინაშვილი (თბილისი), ოგანესიანი (ლენინაკანი), მემანქანენი შუმანსკი (თბილისის დეპო), კასიმოვი (ბაქოს დეპო) და სხვ.

გზათა სახალხო კომისარიატმა სპეციალური დეპეშით აღნიშნა ამხ. კალაძის ცვლის მიღწევები. რწმენა გამოსთქვა, რომ ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მემანქანეები და დისპეტჩერები შემდეგშიც უფრო დიდი წარმატებებით იბრძოლებენ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. (საქდესი).

150 ათასი კილომეტრი ურემონტოდ

ხაშური, (საქდესი). ხაშურის ელექტრომავლების დეპოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, ჩაებენ რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მათ აპრილის პირველ ნახევარში ...

...თების საამქრო (ოსტატი ამხ. ქვირია). ორივე საამქრო დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ასეთი მუშაობის შედეგად ავადმყოფი ორთქლმავლების რიცხვი შემცირებულია.

სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია ...

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში

სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება

45 მილიონი მანეთი სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების რეორგანიზაციის

მაღალ განედებში მესამე რეისის წინ

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

დიდის მანიფესტაცია კავკასიაში

საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აჭარის რესპუბლიკური თათბირი

ა. მ. გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის გამსვლელი სესია თბილისში

ვიბრძოლოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

ბოლომდე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ნავთის მრეწველობაში

მირზაანისა და პატარა-შირაქის ნავთის სარეწაოებზე საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენების შესწავლა-განხილვის შედეგად მნიშვნელოვნად იგრძნობა საერთო საწარმოო აღმავლობა. სამმართველომ 1941 წლის ნავთის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ბურღვისა — 115,2 პროცენტით. ბურღვის თვითღირებულება 1940 წელთან შედარებით 1941 წლის პირველ კვარტალში შემცირდა 4,4 პროცენტით, ხოლო ნავთის ამოღებისა—1,2 პროცენტით.

...წაოების, ჭაბურღილების, საწარმოების და დასახლებული ტერიტორიების დასასუფთავებლად. ახლა მირზაანის ნავთსახდელი ქარხანის, ბურღვის კანტორის, მირზაანისა და პატარა-შირაქის მუშათა დასახლებული დაბის ტერიტორიებზე სრული სისუფთავეა. მიმდინარეობს ამ ტერიტორიის გამწვანება, რაზედაც 30 ათასი მანეთი იხარჯება.

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი მიღწევებისა, შირაქის ნავთის სამმართველოს ნავთის სარეწაოთა მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი ...

...თის სარეწაოების საექსპლოატაციო განყოფილებამ, შირაქის ნავთის სარეწაოს სამმართველოს უფროსის ამხ. ნ. აბერაძის წინადადებით, მარილის მჟავა გამოიყენა № 103 ჭაბურღილზე, რამაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოგვცა, საგრძნობლად გაადიდა ნავთის დებიტი. პირველი აპრილიდან დანარჩენ ჭაბურღილებზედაც მასობრივად დაიწყო მარილის მჟავის გამოყენება.

დიდი მუშაობა ჩატარდა სარე-...

...საამქროებს შორის ყველაზე ცუდად სატრანსპორტო კანტორა (დირექტორი — დ. ობოლაძე) მუშაობს. კანტორამ 1940 წლის გეგმა მხოლოდ 53,2 პროცენტით შეასრულა. საწვავი მასალა ნაცვლად 469.982 კილოგრამისა 579.325 კილოგრამი დახარჯა. ამავე კანტორამ 1941 წლის პირველი კვარტალის გეგმაც მხოლოდ 53 პროცენტით შეასრულა. გადახარჯა 7.811 კილოგრამი ბენზინი.

ვ. ტუხაშვილი

რატომ ვერ ასრულებს გეგმებს ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა?

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა 1940 წლის იანვრიდან ჩადგა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მწყობრში. მაგრამ იმის გამო, რომ ის თავიდანვე ვერ უზ-...

...შრომისათვის დამატებითი ღუძელების მშენებლობა, რაც აუცილებლობას წარმოადგენს, დაწყებული არ არის, ქარხანას არა ჰყავს საკმარისი მუშა-ხელი, ხოლო მუშები იმის გამო ვერ აჰყავთ, რომ ...

...(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების შესაბამისად, წესრიგს დაამყარებდა ქარხანაში, გააფართოებდა ამ საწარმოს, რომელიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს, ყოველგვარ პირობებს შეუქმნიდა ნორმალური მუშაობისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი ისევ გარღვევით დაამთავრა. გეგმით გათვალისწინებული 45.500 ცალი კრამიტის ნაცვლად 24.090 ცალი კრამიტი გამოუშვა.

საკითხავია, რატომ ვერ ასრულებს გეგმას ქარხანა, რომელსაც ნედლეული მოეპოვება?

ახლად მოჭრილი კრამიტის გამშრობი ფარდულების მოცულობა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ამავე დროს ხელოვნური ...

...(საშტამპავი) მექანიზმები ტრაქტორს მოჰყავს მოძრაობაში, ტრაქტორი კი მოუვლელობის გამო ხშირად ფუჭდება.

ქარხნის კერამიკული საამქრო, რომელიც პირველი აპრილისათვის უნდა ამუშავებულიყო, აქამდე მოუწყობელია.

ოჩხამურის აგურ - კრამიტის ქარხანამ (დირექტორი — ამხ. ვ. ბელინსკი) გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მუშაობა საწარმოო დავალებათა შესრულებისა და წარმოებაში წესრიგის დამყარებისათვის, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა კი მას მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიოს.

კ. დოგორჯგინიძე

დამხმარე მეურნეობებს ყოველდღიური მზრუნველობა

გლუხოვოს ბამბეულის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მოწოდებამ ფაბრიკა-ქარხნებთან დამხმარე მეურნეობათა მოწყობის შესახებ თბილისში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ამჟამად თბილისის 62 წარმოებას უკვე მოწყობილი აქვს 57 დამხმარე მეურნეობა 444 ჰექტარი ...

...საყვანი სათბურები გადაკეთებას საჭიროებს, აბრეშუმის საქსოვი ქარხნისა და პოლიგრაფიული კომბინატის დამხმარე მეურნეობათა გეგმებიც სრულიად არ არის გათვალისწინებული ქარსაცავი ზოლის მოწყობა, სახანძრო რაზმის დამხმარე მეურნეობაში ძალიან ...

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად

კასპი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ საპირველმაისო შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს. 20 აპრილს სოფ. ყარაღაჯის, ხოვლის და ზემო-ხანდაკის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობათა 600-მდე წევრი მასობრივად გავიდა შემოდგომის ნათესების მარგვლაზე. ათეულ ჰექტარობით შემოდგომის ნათესები გამარგლეს სოფ. ფაშიანის, ზემო-ხანდაკის და ხოვლეს № 2 კოლმეურნეობის წევრებმა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად შაქრის ჭარხლის თესვა ვადაზე ადრე დაამთავრეს სოფ. კასპის, რგვალიჭალის, ოკამის და იგოეთის კოლმეურნეობებმა.

სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადში“ ამ დღეებში დაამთავრეს დიდი სათბურის მშენებლობა, სადაც უკვე დამყნილია 87.000 ძირი ვაზი.

ს. ყურაშვილი

სეზონს მომზადებული ვხვდებით

ნატანების (მახარაძის რაიონი) ... კა მზად არის ჩაის მწვანე ფოთ-...

...რი შრომით თავი გამოიჩინეს ამხ. თ. კრივორუჩენკომ, ვ. ფედენკომ, პ. სტეპანენკომ და სხვ., რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებდნენ. რემონტის დამთავრებისთანავე შევუდექით ლაო-ჩაის მიღება-გადამუშავებას.

ამჟამად ნატანების ჩაის ფაბრი-...

...გვიანდება ფაბრიკიდან ლაო-ჩაის გატანა. „საქჩაის“ ტრესტი უნდა დაგვეხმაროს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, რომ უზრუნველვყოთ მიმდინარე წლის ჩაის უხვი მოსავლის შეუფერხებელი გადამუშავება.

ა. პავლოვი

ნატანების ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

ჩაის კრეფისათვის სუსტად ემზადებიან

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად ემზადებიან ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის სამუშაოებიც. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ გააჭიანურა ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება. ბერიას სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში პლანტაციების მიმდინარე რემონტი დააგვიანეს.

ბათუმის რაიონმა წელს 2.100 ...

...ბრძოლში“ ჩაის ზოგიერთი ბუჩქი ნორმაზე დაბლა გასხლეს, სოფ. ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბუჩქებს გაუსხლავი გვერდები დაუტოვეს. ორთაბათუმის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ზერელედ გადაბარეს ჩაის პლანტაციები. გადაბარვის ხარისხი დაბალია აგრეთვე მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში.

არც ჩაის კრეფისათვის საჭირო ინვენტარის მომზადების მხრივ არის უკეთესი მდგომარეობა. რაიონის 25 კოლმეურნეობას აკლია 624 ცალი კალათი, 48 გოდორი და 59 სასწორი, პლანტაციებში მოუწყობელია გეგმით გათვალისწინებული 58 ფარდული. ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ძველი საკრეფი ინვენტარის შეკეთებაც.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, ბრიგადირების, სტახანოველების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპე-...

გეგმების შესრულება

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 18 აპრილისათვის ციტრუსები, ნაცვლად 301 ჰექტარისა, გაშენებულ იქნა 309 ჰექტარზე, გეგმის 105,5 პროცენტი. გარდა ამისა, ტრიფოლიატა დათესილია 2 ჰექტარზე—გეგმის 100 პროცენტი, ტრიფოლიატის ნათესი გადარგულია 12 ჰექტარზე — გეგმის 100 პროცენტი, ჩაი, ნაცვლად 52 ჰექტარისა, დათესილია 53 ჰექტარზე, გეგმის 101,9 პროცენტი.

ჩაი დამატებით გაშენდება 10 ჰექტარზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი ზ. ქარჩავა

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბერაია

ვაზის მყნობის ოსტატები

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). სოფ. მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე—ამხ. ი. ხოშაბაევი), რომელმაც ამასწინათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, წარმატებით დაამთავრა თავთავიანი კულტურების თესვა და დაიწყო ბოსტნეულის თესვა.

მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამყნო გეგმით გათვალისწინებული 100.000 ძირი ვაზი. 13 მარტის ...

...თან დაკავშირებით კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება დამატებით დაამყნოს შამპანური ჯიშის 125.000 ძირი ვაზი.

კარგად მუშაობენ მყნობელები ს. მელიქოვი, ა. იორამაშვილი და სხვ.

...

დ. რთველიაშვილი



2 წლიანი ვენახის კულტივაცია ტრაქტორის კულტივატორით ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქძესის ფოტოქრონიკა).

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

საკოლმეურნეო სოფელში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. რედაქციას ყოველდღიურად მოსდის ადგილებიდან წერილები იმ დიდი საწარმოო ენტუზიაზმის შესახებ, რაც პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებამ, აგრეთვე სილნალელთა და მახარაძელთა მოწოდებამ გამოიწვია.

თბილისის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ, რომელიც ამასწინათ შესდგა, სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საგარეჯოს რაიონი. როგორც სოფლკორი შ. გოგიძე გვწერს, ...

— ჩემმა ბრიგადამ,—სწერს მცხეთის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ორდენოსანი ბრიგადირი ამხ. რ. ბულაცაშვილი,—პირველი კვარტალის გეგმა 116 პროცენტით შეასრულა. მტს-ის კოლექტივი თავდადებით მუშაობს, რომ წელს გეგმით გათვალისწინებული 14.200 ჰექტარის ნაცვლად კოლმეურნეობებს 16.200 ჰექტარი სატრაქტორო სამუშაო შეუსრულოს. აქ უკვე დაამთავრდა სახელოსნოს მშენებლობა. მალე დაიწყება სასმელი წყლის გაყვანა და ახალი საცხოვრებელი სახლის აგება.

...შეჯიბრებაში გამოიწვია ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში წინათ ადგილი ჰქონდა გოჭების ხშირ სიკვდილიანობას, მაგრამ ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ მოგებული 146 გოჭიდან ფერმაში მხოლოდ 3 გოჭი მოკვდა. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი თვითეული ღორის საშუალო წონა 70 კილოგრამიდან 100 კილოგრამამდე იქნა აყვანილი.

...

პროფესორი ა. გ. მაჭავარიანი

საბჭოთა საქართველოს მეცნიერები, სამედიცინო მუშაკები და მთელი საზოგადოებრიობა უდიდესი მწუხარების გრძნობით შეხვდნენ ცნობას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის გარდაცვალების შესახებ.

...

...მეები. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაშრომს „სისხლის წებოვნება, შედედების უნარი და ზოგიერთი ჰემოტოლოგიური მონაცემები ფარისებრი ჯირკვლების დაავადების დროს“. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევა ტყვიით მიყენებული ჭრილობების მკურნალობის შესახებ, მხრჩოლავი გაზებით მოწამ-...

...ორდენით დააჯილდოვა. მას მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფესორ ა. გ. მაჭავარიანის სახით ჩვენმა ქვეყანამ დაჰკარგა მეცნიერი, მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკი, რომელმაც ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალიზმის საკეთილდღეოდ ნაყოფიერი შრომის შესანიშნავი გზა განვლო.

ს. მაჭავარიანი, აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი**, აკადემიკოსი **ა. ჯანელიძე**, აკადემიკოსი **ს. ჯანაშია**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. ხორავა**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. ვასაძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **შ. ღამბაშიძე**, პროფ. **ი. ნიკოლაძე**, პროფ. **მ. თოიძე**, **ვ. ეგნატაშვილი**, **ლ. გორგიძე**, **ი. ფრანგულიანი**, **გ. ფიცხელაური**, პროფ. **ა. ალადაშვილი**, პროფ. **კ. ერისთავი**, პროფ. **ვ. ჟღენტი**, პროფ. **დ. იოსელიანი**, პროფ. **ა. ურუშაძე**, პროფ. **ი. შუშანია**, პროფ. **ს. კანდელაკი**, პროფ. **ვ. ანდღულაძე**, პროფ. **პ. ბუაჩიძე**, პროფ. **ნ. ყიფშიძე**, პროფ. **ა. წულუკიძე**, პროფ. **ე. ზაქარაია**, პროფ. **გ. მუხაძე**, პროფ. **პ. ქავთარაძე**, დოც. **კ. ტყემალაძე**, დოც. **მ. საალაშვილი**, დოც. **გ. ცაგარელი**, პროფ. **ვ. ვარაზი**, პროფ. **ი. თიკანაძე**, პროფ. **გ. ლამბარაშვილი**.

პროფესორ ა. გ. მაჭავარიანის დამკრძალავი კომისია

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, პროფესორ ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე — ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ს. ნ. მაჭავარიანი, წევრები—კ. ვ. ერისთავი, ვ. ი. ეგნატაშვილი, ვ. ჟღენტი, ა. ხორავა, ს. ჯანაშია და ლ. გორგიძე.

დაკრძალვის ორგანიზაციის ხარჯები სახელმწიფომ იკისრა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მწუხარებით იუწყებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის გამოჩენილი მოღვაწის პროფესორ

ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას.

რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა

I

1906 წლის 23 (10) აპრილს სტოკჰოლმში (შვეცია) დაიწყო მუშაობა რსდმპ IV ყრილობამ, რომელიც პარტიის ისტორიაში შევიდა „გამაერთიანებელის" სახელწოდებით.

ეს იყო 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც დაიწყო რევოლუციის თანდათანობითი შენელება.

1906 წლის დასაწყისში მთელ ჩვენს ქვეყანას კვლავ გადაუარა გაფიცვათა ტალღამ, მაზრების დაახლოებით ნახევარს მოდებული ჰქონდა გლეხთა მოძრაობა, გრძელდებოდა მღელვარება არმიასა და ფლოტში.

მენშევიკები, ბურჟუაზიის ეს აგენტები მუშათა მოძრაობაში, აფერხებდნენ რევოლუციას, ჰბოჭავდნენ მუშათა რევოლუციურ ენერგიას, მიდიოდნენ კაპიტალიზმთან და თვითმპყრობელობასთან შეთანხმებაზე.

ბოლშევიკები ატარებდნენ თანმიმდევრულ რევოლუციურ ხაზს, ისინი მოუწოდებდნენ მუშებს ცარიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, გლეხობის რევოლუციურ შესაძლებლობათა გამოყენებისაკენ.

ამ პირობებში საჭირო იყო რევოლუციური პროლეტარიატის მაქსიმალური ერთიანობა.

ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ მუშათა მოთხოვნას პარტიის ერთიანობის შესახებ, ხელმძღვანელობდნენ რა ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილებებით. ბოლშევიკები წინადადებას იძლეოდნენ მოწვეული ყოფილიყო პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა. მაგრამ ისინი ისეთი გაერთიანების მომხრენი იყვნენ, რომელიც არ დამალავდა, არ მიჩქმალავდა პრინციპულ უთანხმოებებს რევოლუციის საკითხებში.

შემარიგებლები ბოგდანოვი, კრასინი და სხვები დიდ ზიანს აყენებდნენ პარტიას, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის უთანხმოება არ არისო. ლენინი ებრძოდა შემარიგებლებს და მოითხოვდა, რომ ბოლშევიკები მისულიყვნენ ყრილობაზე ნათელი და მკაფიო პლატფორმით.

„ჩვენ, — წერდა ლენინი ცენტრალურ კომიტეტს 1905 წლის 3 ოქტომბერს, — არ უნდა ავურიოთ პოლიტიკა **ორი** ნაწილის გაერთიანებისა ორივე ნაწილის **გადახლართვაში**. ორი ნაწილის გაერთიანებაზე თანახმა ვართ. ორი ნაწილის გადახლართვაზე — არასოდეს" (თხზ., ტ. VIII, გვ. 247).

ლენინი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკები იყვნენ ხოლმე მენშევიკებთან გაერთიანებულ ორგანიზაციაში, მაგრამ არასოდეს არ სწყვეტდნენ მათთან ბრძოლას.

ბოლშევიკებმა გამოიმუშავეს თავიანთი პლატფორმა და დააყენეს იგი პარტიის წევრთა განსახილველად.

1906 წლის მარტში ფინეთიდან მოსკოვში ჩამოვიდა ვ. ი. ლენინი ტაქტიკური პლატფორმის წინასწარი ტექსტით. მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ჯგუფის სამ თათბირში. 26 მარტს ლენინი არჩეულ იქნა პარტიის IV ყრილობის დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციისაგან. მარტის დამლევს ლენინი მონაწილეობდა აგრარული კომისიის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო რსდმპ საორგანიზაციო კომისიის მიერ IV ყრილობისათვის აგრარული პროგრამის მოსამზადებლად.

ლენინმა დასწერა ბროშურა „მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა", რომელიც 1906 წლის აპრილში გამოვიდა.

ამ დროს ამხანაგი სტალინი უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა კავკასიაში. 1906 წლის იანვარში გამოცემულ იქნა მისი ბროშურა „ორი შეჯახება", რომელშიც მოცემულია დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების მიზეზთა ღრმა ანალიზი. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და პროლეტარიატი ახალი ბრძოლების წინაშე იმყოფება. **„...ერთიანი პარტია, პარტიის მიერ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყება და შეტევის პოლიტიკა** — აი რას მოითხოვს ჩვენგან აჯანყების გამარჯვება". ასე წერდა ამხანაგი სტალინი და მოუწოდებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს შემჭიდროებისაკენ, იმისაკენ, რომ IV ყრილობაზე ნათელი ბოლშევიკური ტაქტიკური ხაზით გამოცხადებულიყვნენ.

ამხანაგი სტალინი IV ყრილობაზე წავიდა როგორც თბილისის პარტიული ორგანიზაციის დელეგატი.

II

ყრილობას დაესწრო 111 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც 57 ადგილობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ყრილობაზე იყვნენ აგრეთვე ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები: 3 — ბუნდისაგან, 3 — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, 3 — ლატვიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან.

ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა მენშევიკებისაგან წარმოგზავნილი აღმოჩნდა. ეს აიხსნება იმით, რომ მრავალი ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორც ისეთები, რომლებიც უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში, განადგურებული იყო. IV ყრილობაზე მიმავალი ბევრი დელეგატი-ბოლშევიკი დააპატიმრეს. მენშევიკური ორგანიზაციები კი 1905 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მასის ხარჯზე. „ყრილობის ასეთმა შემადგენლობამ განსაზღვრა მთელ რიგ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მენშევიკური ხასიათი" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია" გვ. 103).

IV ყრილობაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო ხაზი: ბოლშევიკური — რევოლუციური, და მენშევიკური — შემთანხმებლური, ოპორტუნისტული.

ყრილობაზე უმთავრესი საკითხები იყო აგრარული საკითხი, მომენტისა და პროლეტარიატის კლასობრივ ამოცანათა შეფასება, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულება, ორგანიზაციული საკითხები.

მოხსენება პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვის შესახებ გააკეთა ვ. ი. ლენინმა. შემდეგ გამოვიდა პლეხანოვი თანამოხსენებით იმავე საკითხზე. ლენინი მხარს უჭერდა მიწის ნაციონალიზაციას. მან აღნიშნა, რომ მიწის ნაციონალიზაცია შეიძლება მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ. ნაციონალიზაცია მოითხოვდა მემამულეთა მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევას (კონფისკაციას) გლეხების სასარგებლოდ. რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში ნაციონალიზაცია უადვილებდა პროლეტარიატს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას ღარიბ გლეხობასთან კავშირში. საბოლოო სიტყვაში ვ. ი. ლენინმა ასე დაახასიათა აგრარული პროგრამის დედაარსი: „პლეხანოვმა სთქვა: არ უნდა გვეშინოდეს აგრარული რევოლუციისაო. რევოლუციური გლეხობის მიერ ძალაუფლების დაპყრობის სწორედ ეს შიში არის აგრარული რევოლუციის შიში. აგრარული რევოლუცია ცარიელი ფრაზაა, თუ მისი გამარჯვება არ გულისხმობს რევოლუციური ხალხის მიერ ძალაუფლების დაპყრობას" (თხზ., ტ. IX, გვ. 152).

ლენინის აგრარულ პროგრამას მხურვალედ უჭერდა მხარს ამხანაგი სტალინი. თავის გამოსვლაში იგი ამხილებდა მენშევიკების წვრილბურჟუაზიულ პროგრამას, წარმოდგენილს პლეხანოვის მიერ. სტალინი ლაპარაკობდა პლეხანოვის კადეტური ქცევის შესახებ, მან ცხადჰყო, რომ პლეხანოვმა არ იცის და წარმოდგენა არა აქვს გლეხთა მოძრაობის შესახებ ამიერკავკასიაში.

ბოლშევიკური ლენინური აგრარული პროგრამა ერთადერთი სწორი და რევოლუციური იყო. იგი მოუწოდებდა გლეხებს რევოლუციისაკენ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

მენშევიკები იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას, ე. ი. მიწის ადგილობრივ თვითმმართველობათა და ერობათა ხელში გადაცემისა და არა გლეხურ საზოგადოებათა სარგებლობაში გადაცემის პროგრამას. გლეხებს ეს მიწა იჯარით უნდა აეღოთ. მენშევიკებს არ უნდოდათ ფეხზე დაეყენებინათ გლეხები რევოლუციის მოსახდენად. მუნიციპალიზაციის მათი პროგრამა ნავარაუდევი არ იყო მემამულური მიწათმფლობელობის სრული მოსპობისათვის. ეს იყო შემთანხმებლური, ნახევრული, რევოლუციისათვის მავნე პროგრამა.

ხმის უმრავლესობით ყრილობამ მიიღო მენშევიკური პროგრამა.

მეორე საკითხში — დემოკრატიულ რევოლუციაში თანამედროვე მომენტის შესახებ — აგრეთვე გამოირკვა უთანხმოება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ბოლშევიკები სთვლიდნენ, რომ დემოკრატიული რევოლუცია გრძელდება, ჰეგემონია მასში ეკუთვნის პროლეტარიატს, რომელიც მიუძღვის გლეხობის მრავალმილიონიან მასებს. მენშევიკები პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი უარჰყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლუციაში, და ამით გამომჟღავნეს თავიანთი ანტიპროლეტარული, ოპორტუნისტული ბუნება.

ამხანაგი სტალინი რამდენჯერმე გამოვიდა IV ყრილობაზე. ყველა დელეგატზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვამ თანამედროვე მომენტის საკითხის შესახებ. იგი ამბობდა:

„არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში დაისახა ორი გზა: ცრურეფორმების გზა და რევოლუციის გზა". ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ რევოლუცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, რომ „ჩვენ ვდგევართ ახალი აფეთქების წინაშე, რევოლუცია ვითარდება, და ჩვენ იგი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ".

სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა ძირითადი აზრი პარტიული უთანხმოებებისა, რომლებიც ცხადად გამომჟღავნდნენ IV ყრილობაზე:

„ან პროლეტარიატის ჰეგემონია, ან დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია — აი როგორ დგას საკითხი პარტიაში, აი რაშია ჩვენი უთანხმოება".

თავის გამოსვლებში ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი მთლიანად და სავსებით მხარს უჭერს ბოლშევიკებს.

ყრილობაზე სერიოზული უთანხმოებანი გამომჟღავნდა სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხშიც.

მენშევიკები ამბობდნენ, სათათბირო საუკეთესო საშუალებაა რევოლუციის საკითხების გადასაწყვეტადო. ბოლშევიკები კი სთვლიდნენ, რომ სათათბიროს არ შეუძლია გადასწყვიტოს რევოლუციის ძირითადი საკითხები, რომ იგი ცარიზმის უძლური დანამატია, შირმაა, რომელიც ჰფარავს რუსეთის საზიზღარ თვითმპყრობელობას. თვითმპყრობელობა მოიშორებს ამ შირმას რევოლუციის სრული განადგურების შემდეგ.

პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვა მენშევიკი ლიდერები სათათბიროს სთვლიდნენ მასებზე პარტიის რევოლუციური ზეგავლენის ცენტრად. ამხანაგმა სტალინმა სასაცილოდ აიღო და მკვეთრად გააკრიტიკა ეს მანილოვშჩინა.

ორგანიზაციული საკითხები ყრილობაზე გადაწყდა არა ბოლშევიკების სასარგებლოდ.

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნა ექვსი მენშევიკი და სამი ბოლშევიკი. ცენტრალური ორგანოს რედაქციაში არჩეულ იქნენ მხოლოდ მენშევიკები.

ყრილობაზე განხილულ იქნა აგრეთვე პარტიის წესდება, რომელიც დამტკიცებული იყო რსდმპ III ყრილობაზე. „მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ამ ყრილობაზე უმრავლესობას შეადგენდნენ, ისინი იძულებული გახდნენ მიეღოთ ლენინის ფორმულირება წესდების პირველი პარაგრაფისა პარტიის წევრობის შესახებ, რათა არ ჩამოეშორებინათ მუშები" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 103).

III

მიზანი, რომელიც IV ყრილობის მოწვევას ჰქონდა, **ფაქტიურად** მიუღწეველი დარჩა. „ამ ყრილობაზე მხოლოდ **ფორმალური** გაერთიანება მოხდა. არსებითად ბოლშევიკები და მენშევიკები ინარჩუნებდნენ თავთავიანთ შეხედულებებს, თავთავიანთ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს" (იქვე).

ბრძოლა გრძელდებოდა. ბოლშევიკები ყრილობაზე უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ არ დამარცხებულან. ყრილობიდან ისინი გამოვიდნენ მტკიცე რწმენით, რომ მათი ტაქტიკური ხაზი სწორია და მათი საქმე გაიმარჯვებს.

ამხანაგმა სტალინმა კრემლის კურსანტთა საღამოზე 1924 წლის 28 იანვარს აღნიშნა: რსდმპ IV ყრილობაზე „ბოლშევიკები უმცირესობაში დავრჩით, დამარცხება განვიცადეთ. მე პირველად ვნახე მაშინ ლენინი დამარცხებულის როლში. იგი იოტის ოდენადაც არ ჰგავდა იმ ბელადებს, რომლებიც წუწუნებენ და ნაღვლიანობენ დამარცხების შემდეგ. პირიქით, დამარცხებამ ლენინი შეკუმშულ ენერგიად გადააქცია, რომელიც თავის მომხრეებში აღმაფრენას იწვევდა ახალი ბრძოლებისა და მომავალი გამარჯვებისათვის. მე ვლაპარაკობ ლენინის დამარცხებაზე. მაგრამ როგორი იყო ეს დამარცხება? უნდა შეგეხედათ ლენინის მოწინააღმდეგეებისათვის, სტოკჰოლმის ყრილობაზე გამარჯვებულთათვის — პლეხანოვის, აქსელროდის, მარტოვისა და სხვებისათვის: ისინი ძალიან ცოტათი გვანდნენ ნამდვილ გამარჯვებულებს, ვინაიდან ლენინმა მენშევიზმის ულმობელი კრიტიკით, როგორც იტყვიან, ცოცხალი ადგილიც კი არ დაუტოვა მათ. მახსოვს, თუ ჩვენ, დელეგატი-ბოლშევიკები, ერთად მიკუნჭულნი, როგორ მივჩერებოდით ლენინს და ვთხოვდით მას რჩევას. ზოგიერთი დელეგატის სიტყვებში დაღლილობა, გულგატეხილობა გამოკრთოდა. მახსოვს, ლენინმა ასეთი სიტყვების საპასუხოდ გესლიანად ისროლა: „ნუ წუწუნებთ, ამხანაგებო, ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, ვინაიდან ჩვენ მართალნი ვართ". ზიზღი მოწუწუნე ინტელიგენტებისადმი, რწმენა თავისი ძალის, რწმენა გამარჯვების — აი რაზე ლაპარაკობდა მაშინ ლენინი ჩვენთან. ვგრძნობდით, რომ ბოლშევიკების დამარცხება დროებითი იყო, რომ ბოლშევიკებს ახლო მომავალში უნდა გაემარჯვნათ".

უკვე ყრილობის უკანასკნელ დღეებში ლენინმა ცალკე მოუყარა თავი ბოლშევიკებს და მისცა მითითება, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ, რომ პარტიაში უმრავლესობისათვის მიეღწიათ. ამ თათბირზე შექმნილ იქნა ფარული ბოლშევიკური ცენტრი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ლენინი და სტალინი.

რსდმპ IV ყრილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ცხოვრებაში.

„ყრილობის დიდ იდეურ საქმედ, — ამბობდა ლენინი, — ჩვენ ვთვლით სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უფრო ნათელ და გარკვეულ გამიჯვნას. როგორც ერთი, ისე მეორე ფრთა არის ევროპის ყველა ს.—დ. პარტიებში, — ისინი დიდი ხანია ჩვენშიც ისახებოდა. მათი უფრო მკაფიო გამიჯვნა, უფრო ნათელი განსაზღვრა იმისა, რისთვისაც სწარმოებს დავა, საჭიროა პარტიის ჯანსაღი განვითარების ინტერესებისათვის, პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის ინტერესებისათვის, იმისათვის, რომ ს.—დ. პარტიას ავაშოროთ ყოველგვარი მეტისმეტი გადახრა სწორი გზიდან" (თხზ. ტ. IX, გვ. 222).

უთანხმოებამ ყრილობაზე ცხადჰყო, რომ ერთადერთი რევოლუციური და სოციალიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგულია ბოლშევიკების პარტია. ბოლშევიკებმა დაამტკიცეს რომ რევოლუციის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა არის პროლეტარიატი, რომელიც მიუძღვის გლეხობის მშრომელ მასებს.

რსდმპ IV ყრილობის შემდეგ ლენინი დაბრუნდა პეტერბურგში. პეტერბურგის პარტიული მუშაკები — ბოლშევიკები — მთელ რიგ პარტიულ კრებებსა და თათბირებზე მან გააკეთა მოხსენებანი IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ. იგი, ისევე როგორც ყრილობაზე, გადაჭრით გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა ყრილობის შემდეგ დასწერა ბროშურა „მიმდინარე მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა". მასში იგი ამხილებდა მენშევიკების ტაქტიკურ ხაზს IV ყრილობაზე, იცავდა ლენინურ პოზიციას.

IV ყრილობის შედეგების განხილვის დროს ადგილობრივ ორგანიზაციებში ხშირად გამოდიოდა ორი მომხსენებელი: ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან. რსდმპ წევრთა უმრავლესობა უფრო ხშირად ბოლშევიკების მხარეზე დგებოდა.

35 წელმა განვლო რსდმპ IV ყრილობის დროიდან. ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ბოლშევიკების სიმართლე. ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ მენშევიკებთან და მარქსიზმის სხვა მოღალატეებთან ბრძოლაში. ბოლშევიკებმა მუშათა კლასი ღარიბ გლეხობასთან კავშირში მიიყვანეს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე, რომელმაც სსრ კავშირის მშრომელებს სოციალიზმის დიადი შენობის აგების შესაძლებლობა მისცა.

მ. გოლუბევი

პარტიული ცხოვრება

პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში

მილიონერი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). სოფ. ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი და კეთილმოწყობილი კოლმეურნეობაა ქუთაისის რაიონში. გასულ წელს მისმა ფულადმა შემოსავალმა 1.180 ათას მანეთს გადააჭარბა. ამ გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციას. კოლმეურნეობის 28 ბრიგადიდან 11-ს კომუნისტები უდგანან სათავეში. მოხუცმა კოლმეურნემ პარტიის წევრმა ივანე დეისაძემ გასულ წელს 259 შრომადღე გამოიმუშავა, პარტკანდიდატმა მელიქსედეკ კეპულაძემ — 440, ვ. ოვინიანიძემ 342 და ა. შ.

პარტბიუროს მდივნის ამხ. თ. ინანეიშვილის საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი იყო პარტორგანიზაციისა და კოლმეურნეობის მიღწევათა სხვა ფაქტებიც. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა კომუნისტი ვერ ამართლებს ავანგარდულ როლს კოლმეურნეობაში. პარტიის წევრი ივანე ჯავახაძე ხშირად არღვევდა დისციპლინას საკოლმეურნეო ბრიგადაში, არ ემორჩილებოდა ბრიგადირს, სისტემატურად არ გამოდიოდა სამუშაოდ და 1940 წელს მხოლოდ 172 შრომადღე გამოიმუშავა. პარტწევრმა № 13 ბრიგადის ბრიგადირმა ვლადიმერ კეპულაძემ ცუდად იმუშავა მთელი 1940 წლის განმავლობაში — უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისადმი, ვერ უზრუნველჰყო ნათესების წესიერი მოვლა-პატრონობა და მოსავალიც დაბალი მიიღო. ამიტომაც მისი ბრიგადა გასული წლის ბოლოს შრომადღეების ჩამოწერით დააჯარიმეს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მხილებულ იქნა პარტბიუროს მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანიც.

კამათში გამოვიდა 12 ამხანაგი. კომუნისტებმა პ. გვანცელაძემ, ვ. ღვინიანიძემ, გ. კაპანაძემ, ნ. მარგველაშვილმა, ლ. ნუცუბიძემ და ერ. კაპანაძემ პარტორგანიზაციის კრების ყურადღება შეაჩერეს კომკავშირისადმი დახმარების, ცალკეული საკოლმეურნეო ბრიგადების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის, საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის, კოლმეურნეობის ქონების მოვლა-პატრონობის, კოლმეურნეობაში სისუფთავისა და წესრიგის დამყარების საკითხებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტბიუროს მდივანს ამხ. თ. ინანეიშვილს თავის მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს ისეთ ძირითად საკითხზე, როგორიც არის პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილება კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ, იმაზე თუ რა მუშაობა სწარმოებს კოლმეურნეობაში სიღნაღისა და მახარაძის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვების საფუძველზე. ამ საკითხების შესახებ თითქმის არაფერი არ სთქვეს აგრეთვე მოკამათეებმაც.

პარტბიუროს შემადგენლობაში კრებამ აირჩია 5 კაცი. პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. თ. ინანეიშვილი.

გ. ყურაშვილი

აკადემიური წარმატებულობისა და შეგნებული დისციპლინისათვის

(თბილისის მე-82 სომხური საშუალო სკოლა)

თბილისის მე-82 სომხურ საშუალო სკოლაში აკადემიური წარმატებულობისა და შეგნებული დისციპლინისათვის ბრძოლა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. მაგრამ სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. რ. აბრამიანი საანგარიშო მოხსენებაში უფრო მეტად შეჩერდა შედარებით მეორეხარისხოვან საკითხებზე, ვიდრე სკოლაში მაღალი აკადემიური წარმატებულობისათვის ბრძოლაზე.

მოხსენების ირგვლივ გამართული კამათი უფრო კრიტიკული და საქმიანი გამოდგა. ის, რაც ვერ სთქვა მომხსენებელმა, სთქვეს მოკამათეებმა. სკოლის დირექტორის მოადგილემ ამხ. ს. ოვანესიანმა აღნიშნა, რომ სკოლაში საერთო წარმატებულობის პროცენტს დაბლა სწევს მოსწავლეთა წარმატებულობის ჩამორჩენა მათემატიკურ საგნებში. ამ საგნებში თითო კლასში თითქმის 10-12 მოსწავლეს აქვს სუსტი ნიშანი. მათემატიკის მასწავლებელი ამხ. არუთინიანი ხანდახან აშკარად ფორმალურად ეკიდება თავის მოვალეობას. მან ერთ დროს უარიც კი განაცხადა დამატებით საათებში მოსწავლეთათვის კონსულტაციების ჩატარებაზე. ყოველივე ამის შესახებ ბევრჯერ იმსჯელეს პედაგოგიურ საბჭოზე, პარტიულ ორგანიზაციაში კი საკითხი რატომღაც არ დაუყენებიათ. მართალია, პარტიული ორგანიზაცია ზოგჯერ კარგ ღონისძიებებს სახავდა, მაგრამ შემდეგ აღარ ახდენდა მათი შესრულების შემოწმებას.

პარტორგანიზაციის ერთერთ მთავარ ნაკლად საანგარიშო კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ იგი ნაკლებად ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა სკოლის კომკავშირულ და პიონერთა ორგანიზაციებს.

მოკამათეებმა საკმაო ყურადღება მიაქციეს კომუნისტთა და, საერთოდ, სკოლის პედაგოგიური პერსონალის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. აღინიშნა, რომ არიან ამხანაგები, რომლებიც ან არ სწავლობენ ან ძალიან სუსტად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", ხოლო პარტორგანიზაციის მდივანი ნაკლებად უწევს ამხანაგებს ბოლშევიკურ კონტროლს თვითგანვითარებაზე. თურმე ზოგიერთი მასწავლებელი (მაგალითად, ამხ. ბალაიანი) არა თუ არ ეუფლება ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას, არამედ, გაზეთსაც არ კითხულობს ყოველდღიურად.

მოკამათენი შეჩერდნენ აგრეთვე სკოლაში სისუფთავისა და სრული წესრიგის დამყარებაზე, სასკოლო ქონების წესიერ მოვლა-პატრონობაზე. მართალია, ამ საკითხებს XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შემდეგ უფრო მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ ამ დარგში ჯერჯერობით მაინც ცოტაა გაკეთებული.

კრებაზე აღინიშნა, რომ პარტიის სტალინის რაიონული კომიტეტი საკმაოდ არ ეხმარებოდა და არ ხელმძღვანელობდა სკოლის პარტიულ ორგანიზაციას. ამის შესახებ ილაპარაკეს სკოლის დირექტორმა ამხ. გ. ოვანესიანმა და პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. რ. აბრამიანმა.

პარტიული ორგანიზაციის მდივნის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტიული ორგანიზაციის მდივნად კრებამ ისევ აირჩია ამხ. რ. აბრამიანი, ხოლო მოადგილედ ამხ. გ. ოვანესიანი.

ლ. ტუროვი

მოხსენება თვითკრიტიკული არ იყო

ფოთი, („კომუნისტის" კორ.). ჩატარდა ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. გვაძაბია. მომხსენებელმა კრებას გააცნო ორგანიზაციის ზრდისათვის, პარტმასობრივი მუშაობის გაშლისათვის, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის ჩატარებული მუშაობა. ილაპარაკა რა კომუნისტთა მონაწილეობაზე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, მან აღნიშნა, რომ ამხანაგები ქ. ბახტაძე, თ. მიმინოშვილი, ზ. კუჭუხიძე, გ. აფხაზავა, დ. ჯოჯუა წარმოებაში სტახანოვურად მუშაობას მოხერხებულად უთავსებენ პარტიულ-საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებას.

გემთშემკეთებელი ქარხნის პარტორგანიზაციას ერთგვარი დადებითი გამოცდილება აქვს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის დარგში. პარტიის წევრობის კანდიდატთათვის თვეში ორჯერ იწყობა საუბრები საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის საკითხებზე, ასევე საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის ზრდისა და განვითარების საკითხებზე. პარტიის წევრობის კანდიდატები ენერგიულად მუშაობენ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. მაგალითად, ამხ. ლ. არაქელოვამ და ქ. კიზირიამ დაამთავრეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა. ამჟამად ისინი ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას პირველი წყაროების მიხედვით სწავლობენ.

კარგად არის დაყენებული სააგიტაციო მუშაობა. პარტორგანიზაციამ ქარხანაში საამქროების მიხედვით გამოჰყო 5 აგიტატორი, რომელნიც ყოველდღიურად ეწევიან ცოცხალ პოლიტიკურ აგიტაციას საინტერესო საკითხებზე. კარგი მუშაობით გამოირჩევიან აგიტატორები: დ. ჯოჯუა, ი. ჩერნილოვი, ვ. გელვანოვსკი.

წარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა საწარმოს პარტორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს. ახლა პარტორგანიზაცია უკეთ წვდება საწარმოს ცხოვრებას; 11 მარტს ჩატარებულმა ტექნიკურმა კონფერენციამ ქარხნის მუშაობაში არსებული მრავალი ნაკლი გამოავლინა. ამის შედეგად გაუმჯობესდა მუშათა ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ბრძოლა, ჩამოყალიბებულია ტექმინიმუმის შემსწავლელი 4 წრე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოხსენება ნაკლებად თვითკრიტიკული იყო. მომხსენებელს არაფერი უთქვამს ქარხანაში ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვაზე, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე; მომხსენებელს მხედველობიდან გამორჩა ისიც, რომ ქარხნის საამქროებს არ ეძლევათ ერთთვიური და დღიური სამუშაო გეგმები. ამ საკითხებს პარტორგანიზაცია წინათ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

მოხსენების გარშემო კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ე. კუციამ, დ. ჯოჯუამ, ე. გვასალიამ, გ. ნიკოლაიშვილმა, ა. ხუბუამ, ვ. ბოლქვაძემ, ვ. მალევსკიმ და სხვ. გააკრიტიკეს პარტბიუროს განვლილი მუშაობა და შემოიტანეს პრაქტიკული წინადადებანი პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლთა აღმოფხვრისათვის.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტორგანიზაციის ბიუროში არჩეულია 5 კაცი. პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. დ. ჯოჯუა.

ბბ. ნანეიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

გამიდ ოღლი ვეისი, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1683351—როგორც მეჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; შმატ მამსიროს-ძე **აგრბა**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 3299634 — იმისათვის, რომ პარტიაში შესვლისას დაჰფარა თავისი ნასამართლობა და კომკავშირიდან გარიცხვა; **ხაჩიკ ავეტისის-ძე დუდუკჩიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1675301 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ყალბი ცნობების მიცემისათვის.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს აგიტატორი შალვა ხიზანაშვილი ესაუბრება მესამე საკომპლექსო ბრიგადის წევრებს ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის მნიშვნელობაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

„დაუვიწყარი" — პიესა სერგო ორჯონიკიძეზე

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ). მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ამთავრებს მუშაობას გიორგი მდივნის ახალი პიესის „დაუვიწყარის" დადგმაზე. პიესის მოქმედება სწარმოებს 1919 წელში, ხოლო მისი მთავარი მოქმედი პირია XVI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი სერგო ორჯონიკიძე. ამ დადგმაში დიდ მონაწილეობას იღებს ამხ. სერგოს მეუღლე ზინაიდა ორჯონიკიძე. მან ბევრი ძვირფასი რჩევა და მითითება მისცა სპექტაკლის დამდგმელს — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ა. ი. კრიჩკოს, ხოლო ამხ. სერგოს როლის შემსრულებელს მსახიობ გარინს გააცნო უძვირფასესი დოკუმენტალური მასალა, რომელიც 1919 წელს შეეხება, სერგოს სიტყვების ჩანაწერები და სხვ.

„დასავლეთის ფრონტის მძიმე და რთულ ვითარებაში, — ამბობს სპექტაკლის შესახებ ამხ. კრიჩკო, — მოქმედებს მჩქეფარე სიცოცხლით, გამჭრიახობითა და ღრმა პრინციპულობით აღსავსე გმირი პიესისა. მოკლე ხნის განმავლობაში ამხ. ორჯონიკიძე ფრონტისა და ზურგის სისუსტეებთან, შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში მკვეთრ გარდატეხას, რადიკალურ გაუმჯობესებას აღწევს. მოქმედება სწარმოებს შტაბში, ფრონტზე, ოჯახურ წრეში.

ამ სპექტაკლის ამოცანაა მოზარდი მაყურებლის აღზრდა ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო ადამიანის გმირული პიროვნების მაგალითზე. პიესა „დაუვიწყარში" მონაწილეობს ორჯონიკიძის ოჯახში აღზრდილი ბიჭი პავლიკი. გრიგოლ კონსტანტინეს-ძის გავლენა მასზე პიესას აღმზრდელობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მახლობელს ხდის მოზარდი მაყურებლისათვის. თეატრის მიერ სპექტაკლი „დაუვიწყარი" განზრახულია როგორც სერგო ორჯონიკიძის ცოცხალი ძეგლი".

პიესისათვის მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა ვანო მურადელმა, მხატვარი—რასპოპოვი.

ქართული ისტორიული ძეგლები

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). მოსკოვში ამჟამად იმყოფება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სპეციალური კომისია ამხ. ლეკიშვილის, ლომაძისა და ჩიქოვანის შემადგენლობით. კომისია ეცნობა ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია მრავალი ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის მეცნიერისა და მწერლის ყოფნასა და ცხოვრებასთან მოსკოვში XVII და XVIII საუკუნეებში. ეს პირნი თავის დროზე იძულებული იყვნენ წასულიყვნენ საქართველოდან, რომელიც გარეშე მტრების დაუსრულებელი თავდასხმების ობიექტი იყო. დღემდე დარჩენილი იმდროინდელი ძეგლებიდან ძირითადია ეკლესია ვსეხსვიატსკოეში, რომელშიც იმყოფება არჩილ მეფის, პეტრე I-ის ცნობილი თანამებრძოლის ალექსანდრე ბაგრატიონის და სხვ. საფლავები. კომისიამ გამოიკვლია ეს ეკლესია, ბათქაშის ფენის ქვეშ აღმოაჩინა ძვირფასი ძველებური ფრესკები ქართული წარწერებით, იპოვნა იტალიური და ძველ-ბერძნული წიგნები, რომლებიც საბასულხან ორბელიანს ეკუთვნოდა. ფიცარნაგის ქვეშ აღმოჩენილ იქნა საფლავები. უახლოეს დღეებში მათ ახდიან, ხოლო ეკლესია დეტალურად იქნება გამოკვლეული და აღწერილი.

„არქიტექტორის სახლი" თბილისში

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობამ გამოაცხადა ღია ამხანაგური კონკურსი თბილისში „არქიტექტორის სახლის" ესკიზური პროექტის შედგენაზე.

კონკურსში, რომელიც იწყება 24 აპრილს და დამთავრდება 24 მაისს, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. კონკურსის პროგრამის გაგება შეიძლება არქიტექტორთა კავშირში (რუსთაველის პროსპ., 23).

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

ათენი, 21 აპრილი (საქდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის 20 აპრილს, საღამოს, გამოქვეყნებულ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ალბანეთის ფრონტზე გაცხოველებით მოქმედებდა მტრის ავიაცია. მტერი შეეცადა შეტევაზე გადმოსულიყო ორ პუნქტში, მაგრამ უკუქცეულ იქნა და თან მძიმე ზარალი მოუვიდა. ბერძენთა ჯარი მტერს მისდევდა მისი პირვანდელი პოზიციების ფარგლებს იქეთ. წამოყვანილია ტყვეები.

მაკედონიასა და თესალიაში მტრის ავიაციის ძლიერი მოქმედების მიუხედავად, მან ვერცერთ პუნქტში ვერ გაარღვია ბერძენთა გეგმის თანახმად დაწესებული პოზიციების ხაზი.

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 20 აპრილს, საღამოს, გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 20 აპრილს გერმანიის თვითმფრინავებმა, რომლებიც თანმიმდევრულ ტალღებად ჩნდებოდნენ, იერიში მოიტანეს პირეის, ელევსინისა და მეგარის რაიონებზე. არის ადამიანის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. ჩამოგდებულია გერმანიის 5 თვითმფრინავი. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დაუშინეს სოფელ ავლონს (ატიკაში). სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი დიდი არ არის, მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ლუთრაკის რაიონში ყუმბარები ჩამოაგდეს, მაგრამ ზარალი და მსხვერპლი არ გამოუწვევიათ. გერმანიის თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ქალაქ ფივს. სამოქალაქო მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ქალაქში გამოწვეულია მცირეოდენი მატერიალური ზარალი. ყუმბარა ჩამოჰყარეს აგრინიონისა და ატალანტის რაიონში. ტყვიამფრქვევი დაუშინეს სოფელ არკიასსა და ლივანატეს. დაჭრილია 1 კაცი. გერმანიის 2 თვითმფრინავმა ტყვიამფრქვევი დაუშინა მოტორიან ნავს ეგეოსის ზღვის ერთერთი კუნძულის უბეში. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. მტრის თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ქალაქ მისოლონგიონს, სადაც არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში. ქალაქში დაზიანებულია რამდენიმე სახლი. იტალიის თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ქალაქ კალამს. სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი და მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 21 აპრილი (საქდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ იტალიელთა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ უკუაქცია ბერძენთა ჯარი, რომელიც გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევოდა ალბანეთის საზღვრის გამაგრებულ პოზიციებზე. იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის საარტილერიო პოზიციებს, ჯარსა და ავტომობილებს, რომელთა დიდი რაოდენობა მოსპობილია. დაზიანებულია მტრის ხომალდები, რომლებიც იტაკისა და კორფუს კუნძულებთან იდგნენ.

ბომბარდირება განიცადეს მესოლონგიონის სანავსადგურო ნაგებობებმა და კალამის ვაგზალმა. იტალიისა და გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა ლა-ვალეტის (მალტა) საზღვაო ბაზაზე. იტალიის ერთი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. იტალიის ავიაციის შენაერთებმა რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარა აეროდრომს ჰერაკლიონში (კრეტის კუნძული) და გემებს სუდის ყურეში, რამაც სერიოზულად დააზიანა აეროდრომის ნაგებობანი და ხანძარი გამოიწვია მტრის საესკადრო ნალმოსანზე. მტრის ერთი გემი ჩაიძირა. იტალიის ნაღმოსნებმა ჰავდოსის კუნძულის სამხრეთით (ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში) რამდენჯერმე მიიტანეს იერიში მტრის გემთა ქარავანზე და ჩასძირეს ერთი ნავთსასხმელი გემი 15 ათასი ტონა წყალწყვისა და აგრეთვე დამხმარე კრეისერი 8 ათასი ტონა წყალწყვისა. იტალიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. ჩრდილოეთ აფრიკაში მტერმა ჯარის გადმოსხმა სცადა ბარდიის რაიონში, მაგრამ უკუქცეულ იქნა. ჯარი, რომელმაც გადმოსხდომა მოასწრო, წამოყვანილია ტყვედ. იტალიისა და გერმანიის თვითმფრინავებმა არაერთხელ დაუშინეს ყუმბარა ტობრუკს და დააზიანეს სანავსადგურო ნაგებობანი და ხომალდები ნავსადგურში. გერმანიის თვითმფრინავებმა დააზიანეს ინგლისის გემები სოლუმთან. ჩაძირულია ერთი ტრანსპორტი. ინგლისის 4 თვითმფრინავი ჩამოგდებულია სოლუმში. საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი „ბლენჰეიმის" ტიპისა. 19 აპრილს, ღამით, მტერი რამდენჯერმე დაესხა თავს კირენაიკის ზოგიერთ პუნქტს.

აღმოსავლეთ აფრიკაში, ტიგროსის სექტორში, იტალიის არტილერიამ მოიგერია მტრის რაზმების შეტევა. გალისა და სიდამოს რაიონში იტალიის ავიაციამ უკუაქცია მტერი, რომელიც ცდილობდა იტალიელთა პოზიციებს მოახლოებოდა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. საზენიტო არტილერიამ დააზიანა ინგლისის ერთი თვითმფრინავი, რომელიც იძულებული გახდა დაშვებულიყო იტალიელთა ჯარის განლაგების რაიონში. თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ.

რეიტერის სააგენტო აფრიკის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 21 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო, ეხება რა ომის პერსპექტივებს, გადმოგვცემს, რომ, ლონდონის წრეების აზრით, მდგომარეობა ლიბიის ფრონტზე თანდათანობით უმჯობესდება. ეს იმით აიხსნება, რომ ინგლისის ბევრი თვითმფრინავი ახლა განთავისუფლდა, რადგან დასასრულს უახლოვდება ინგლისის კამპანია აღმოსავლეთ აფრიკაში, სადაც მტერმა თითქმის შესწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალების სარდალს ლონგმორს აღმოსავლეთ აფრიკაში განთავისუფლებული თვითმფრინავები სხვა ფრონტებზე გადაჰყავს. ამჟამად ინგლისისა და ავსტრალიის ავიაცია იმდენად აქტიურად მოქმედებს, რომ გერმანია-იტალიის ძალების შეტევა ლიბიაში შეჩერებულია.

რუზველტისა და კინგის საერთო განცხადება

ნიუ-იორკი, 21 აპრილი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰაიდ-პარკიდან (ნიუ-იორკი) იუწყება, რუზველტმა და კანადის პრემიერ-მინისტრმა კინგმა თათბირის შემდეგ საერთო განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ განიხილეს საკითხი, რათა ამერიკისა და კანადის წარმოება რაც შეიძლება მალე და ეფექტიანად იქნას გამოყენებული ინგლისის დასახმარებლად, აგრეთვე დასავლეთის ნახევარსფეროს დაცვისათვის.

საჰაერო თავდასხმები მალტაზე

ლონდონი, 21 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო მალტის კუნძულიდან გადმოგვცემს შემდეგ კომუნიკეს: „19 აპრილს, ღამით, მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს კუნძულის ერთერთ განცალკევებულ რაიონში. გუშინ, გათენებისას, კუნძულს მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის საპატრულო ავიაგამანადგურებლები, მაგრამ მისი სანაპირო ვერ გადალახეს. შემდეგ მალტაზე გამოჩნდა ცალკეული საზვერავი თვითმფრინავი იუნკერს-88. იგი დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა; საზენიტო არტილერიამ მას სროლა აუტეხა. იმავე დილას კუნძულზე იერიში მიიტანა იტალიის „სავოია-79 ყუმბარმშენების მცირე შენაერთმა. კრ-42 და მესერშმიდტ-109 ავიაგამანადგურებლების თანხლებით. მოწინააღმდეგის მიერ ჩამოყრილი ყუმბარები ზღვაში ჩავარდა. საზენიტო არტილერიამ მტრის ავიაციას ინტენსიურად აუტეხა სროლა. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს იტალიის 3 თვითმფრინავი კრ-42, რომლებიც ზღვაში ჩავარდნენ. იტალიის მეოთხე თვითმფრინავი იმდენად დაზიანდა, რომ საეჭვოა თავის ბაზაში დაბრუნებულიყოს. ამ თავდასხმის დროს ინგლისის არცერთი თვითმფრინავი არ ჩამოუგდიათ. ადამიანთა მსხვერპლი არ არის".

საფრანგეთის სოფლის მეურნეობის კატასტროფული მდგომარეობა

ვიში, 21 აპრილი (საქდესი). სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული გამოანგარიშებით, საფრანგეთის სოფლის მეურნეობას საგაზაფხულო თესვის სამუშაოებისათვის აქვს სათესლე კარტოფილის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტი, ქიმიური სასუქებისა—25 პროცენტი, და ცხენების შენახვისათვის საჭირო ზაპიანისა—40 პროცენტი. მუშახელის მდგომარეობა სრულიად კატასტროფულია. ერთ მილიონზე მეტი გლეხი ტყვეობაშია. უცხოელი მუშახელი, რომელსაც ომამდე ფართოდ იყენებდნენ საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში, ამჟამად სრულიად აღარ არის.

საფრანგეთის ხარჯები

ვიში, 21 აპრილი (საქდესი). გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობების თანახმად, საფრანგეთი ამჟამად ყოველდღიურად ერთ მილიარდ ფრანკს ხარჯავს. აქედან 400 მილიონ ფრანკს — გერმანიის საოკუპაციო ჯარის სარჩენად. 600 მილიონი ფრანკი ყოველდღიურად იხარჯება მიმდინარე საჭიროებისათვის, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ომის შედეგების ლიკვიდაციასთან. როცა ომობდა, საფრანგეთი ყოველდღიურად ხარჯავდა 1.200 მილიონ ფრანკს.

განსაკუთრებით დიდ ხარჯებს იწვევს ომის დროს დანგრეული ხიდების აღსადგენად. ტრანსპორტის საქმეთა სტატს-სამდივნის ცნობით, საომარი მოქმედების დროს ხიდები მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრიეს საფრანგეთის 60 დეპარტამენტში. ყველაზე მეტად დაზარალდა მეზის დეპარტამენტი, სადაც დანგრეულია 272 ხიდი. ნორის დეპარტამენტში დანგრეულია 262 ხიდი, მარნის დეპარტამენტში—207 ხიდი. ფიქრობენ, რომ დანგრეული ხიდების აღსადგენად საჭირო იქნება სულ ცოტა სამი წელი.

[illegible]

ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი

წელს ივნისში შესდგება ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს ახალ შემსრულებელთა გამოვლინებას, მათი რეპერტუარის განახლებას და გაუმჯობესებას.

კონკურსი სამი ტურისაგან შესდგება. პირველი ტური ჩატარდება მთავარ ქალაქებში. საქართველოში პირველი ტური ჩატარდება თბილისში, მეორე და მესამე ტური შესდგება მოსკოვში.

კონკურსში წარმოდგენილი იქნება ოთხი საესტრადო ჟანრი: სალაპარაკო (შაირები, ფელეტონი, მოთხრობა, სკეტჩი), სასიმღერო (სსრკ ხალხთა სიმღერები, რომანსები, სახასიათო სიმღერები და სხვ.), საცეკვაო (აკრობატული, სახასიათო, ხალხური, ექსცენტრიული და სხვ.) და ორიგინალური ჟანრები (ჟონგლიორები, მუსიკალური ექსცენტრიკა, ესტრადული აკრობატიკა და სხვ).

კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ მოქალაქეს, არა უმეტეს 35 წლისა, რომლის აქტიორულ მოღვაწეობას პროფესიული ხასიათი აქვს. პირველ ტურში მოხდება საუკეთესო მონაწილეთა შერჩევა მეორე ტურისათვის. მეორე ტურში გამარჯვებულნი, რომლებიც კენჭის ყრისას ორ მესამედზე მეტ ხმას მიიღებენ, დაიშვებიან მესამე ტურზე. მესამე ტურის მონაწილენი მიიღებენ ლაურეატის სახელწოდებას და ფულად ჯილდოს. დაწესებულია შემდეგი ჯილდო: პირველი პრემია—8.000 მან., მეორე — 6.000, მესამე—4.000, მეოთხე — 3.000 და მეხუთე—2.000 მანეთი. პრემიების რაოდენობას დააწესებს ხელოვნების საქმეთა კომიტეტი საკავშირო ჟიურის წარდგინით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა მისცენ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ან საქესტრადას, რომელიც მსახიობებს დაეხმარება რეპერტუარის შექმნაში და ნომრის გაკეთებაში.

ძალოსანთა შეჯიბრება

19 და 20 აპრილს თბილისში ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდა ძალოსანთა (შტანგისტების) შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საუკეთესო ძალოსნები.

სხვადასხვა წონითი კატეგორიებში გამარჯვება წილად ხვდათ სპორტის ოსტატებს კ. ხაჭაპურიძეს (ქუთაისი), პ. გუმაშიანს (თბილისი), ვ. სვეტილკოს (თბილისი), მ. ეღენტს (თბილისი), ი. გელოვანსა და ა. ჩილინგაროვს (ახალციხე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალციხელი სპორტსმენის ა. ჩილინგაროვის წარმატება. მან ზედიზედ ორჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდება.

გუნდური პირველობა მოიგო აფხაზეთმა. მეორე ადგილზეა თბილისი, მესამეზე—ქუთაისი, ხოლო მეოთხეზე—ახალციხე.

ორგანიზებულად ჩავატაროთ თავდაცვა-ავიაქიმის XV ლატარია

გასულ წელს თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად-საკავშირო XIV ლატარიის ჩატარების საქმეში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უდიდესი დარაზმულობა და აქტივობა გამოიჩინეს. ამ ღირსშესანიშნავ კამპანიას მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად ფართოდ გამოეხმაურნენ ორდენოსანი საქართველოს მშრომელებიც. მათ მიერ შეძენილ იქნა 3 მილიონი მანეთის ბილეთები.

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ XIV ლატარიის ჩასატარებლად გაწეული საუკეთესო მუშაობისათვის საქართველოდან დააჯილდოვა თავდაცვა-ავიაქიმის მრავალი ორგანიზაცია. თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო დაჯილდოებულ იქნა 7.000 მანეთით, ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაცია—1000 მანეთით, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაცია—500 მანეთით, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო დაჯილდოებულ იქნა სიგელით.

კოლასურის სუბტროპიკული ტექნიკუმის მასწავლებელმა ამხ. ლიმანსკიმ თავდაცვა-ავიაქიმის XIV ლატარიის ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომანქანა მ—1, სოხუმის ლიმონათის ქარხნის მუშამ ამხ. მანინმა მოიგო მოტოციკლეტი, საქართველოდან ბევრს მოგებად ხვდა პიანინო, ველოსიპედი, რადიომიმღები და სხვ.

თავდაცვა-ავიაქიმის მრავალი ორგანიზაციისა და თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს შუამდგომლობით მთავრობამ ნება დართო 1941 წელს ჩატარებულ იქნას თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად-საკავშირო XV ლატარია. სულ გამოშვებული იქნება 250 მილიონი მანეთის 75 მილიონი ბილეთი, თითეული 1 მანეთიანი, 3 მანეთიანი, 5 მანეთიანი და 10 მანეთიანი. ბილეთების რეალიზაცია უნდა დაიწყოს 1 მაისს და დამთავრდეს 15 აგვისტოს.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები, რომელთაც ამ ღირსშესანიშნავი კამპანიის ჩასატარებლად უდიდესი პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ, ვალდებულნი არიან დროულად გაშალონ სათანადო საავიტაციო-მასობრივი მუშაობა და ლატარიის ბილეთების გავრცელების საქმეში რაც შეიძლება ფართოდ ჩააბან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის წევრები და აქტივისტები.

იმისათვის, რომ თავდაცვა-ავიაქიმის XV ლატარია გასულ წელთან შედარებით ჩატარდეს უფრო ორგანიზებულად და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით, თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოები მოვალენი არიან სისტემატური კონტროლი გაუწიონ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციებს, რათა მათ მიერ ლატარიის ბილეთებში აღებული თანხა დაუგვიანებლივ და დანიშნულებისამებრ იქნას შეტანილი. არ უნდა დავუშვათ ლატარიის ბილეთების ღირებულების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის მოვალეობაა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს აღმოუჩინონ სათანადო დახმარება, რათა XV ლატარია, რომლის ბილეთების გავრცელება მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი საფუძველზე უნდა მოხდეს, ჩავატაროთ ორგანიზებულად. ამით კიდევ უფრო გავზრდით თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის რიგებს და გავაუმჯობესებთ მასობრივ თავდაცვითს მუშაობას.

მ. საკარული.

პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ნაშრომთა გამოცემა

მსოფლიოში განთქმულმა, გამოჩენილმა ქიმიკოსმა პროფ. პ. გ. მელიქიშვილმა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ნაშრომები, მისი მრავალი აღმოჩენა უდიდეს ღირებულებას წარმოადგენენ მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

გაითვალისწინა რა, რომ პროფ. პ. გ. მელიქიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა დიდ ინტერესს იწვევს, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაიწყო მისი ნაშრომების გამოცემა ერთ ტომად. წიგნის პირველ ნაწილში შედის პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ნაშრომები ორგანულ ქიმიაში (რედაქტორი პროფ. მ. ბეჟაია), მეორე ნაწილში—ნაშრომები არაორგანულ ქიმიაში (რედაქტორი პროფ. ციციშვილი).

წიგნს წამძღვარებული იქნება პროფ. მ. ბეჟაიას სტატია „პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა".

წიგნი გამოდის პროფ. ი. მოსეშვილისა და პროფ. ნ. ციციშვილის საერთო რედაქციით (საქდესი).

მრიცხველები ელექტრომავლებისათვის

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილების სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორიაში მთავრდება თბილისის ელექტროდეპოს ინჟინრის, გამომგონებელ ამხ. კარაევის კონსტრუქციის მრიცხველების დამზადება ელექტრომავლებისათვის. მოკლე ხანში მზად იქნება და ელექტრომავლებზე დაიდგმება 10 საცდელი მრიცხველი.

რკინიგზის ელექტროფიცირებულ უბანზე ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის ბრძოლაში ამხ. კარაევის კონსტრუქციის მრიცხველი გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ამჟამად ელექტრომავლების მიერ ელექტროენერგიის დახარჯვის აღრიცხვა სწარმოებს ყველა ელექტრომავლებისათვის ელექტროფიცირებული უბნების წევის ქვესადგურებში. მემანქანეებს ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის პრემია ეძლევათ მათ მიერ განვლილი მანძილის მიხედვით. აღრიცხვის ამ სისტემის პირობებში პრემიების განაწილებისას აუცილებელია გათანაბრება. შეუძლებელი არ არის, რომ პრემია მიიღოს იმ მემანქანემ, რომელსაც ელექტროენერგიის გადახარჯვა აქვს. ელექტრომავლებზე მრიცხველების დადგმის შემდეგ პრემიის რაოდენობა გამოიანგარიშება არა განვლილი მანძილისა, არამედ მემანქანეების მიერ ელექტროენერგიის გაწეული მომჭირნეობის მიხედვით. (საქდესი).

პირველი საგაზაფხულო კროსი

თბილისის სასპორტო საზოგადოებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, ფაბრიკებისა და ქარხნების ათასობით ფიზკულტურელი, ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას ფართო მასობრივ შეჯიბრებაში—ტრადიციულ კროსებში.

წელს პირველი საგაზაფხულო კროსი გაიმართება 27 აპრილს ძუდადოვის ტყეში. თბილისის საუკეთესო ფიზკულტურელები მონაწილეობას მიიღებენ 3.000 და 5.000 მეტრის გარბენაში, ხოლო ფიზკულტურელი ქალები—1.000 მეტრის გარბენაში.

საგუნდო პირველობა გათამაშებული იქნება 3 ჯგუფად. პირველ ჯგუფში შეყვანილია უმაღლეს სასწავლებელთა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, სამხედრო ნაწილებისა და „ლოკომოტივის" „დინამოს" და „სპარტაკის" კოლექტივთა გუნდები.

პირველი ჯგუფის თვითეული ორგანიზაცია გამოიყვანს 7 ფიზკულტურელს 5.000 მეტრის გარბენაში მონაწილეობისათვის, 10 ფიზკულტურელს—3.000 მეტრი დისტანციის და 7 ფიზკულტურელ ქალს—1.000 მეტრი დისტანციის გარბენაში მონაწილეობისათვის.

კროსისათვის მზადება უკვე დაიწყო. საუკეთესო ფიზკულტურელები გაცხოველებით იწრთვნებიან მომავალი შეჯიბრებისათვის. (საქდესი).

სისხლისდენის შემაჩერებელი ბამბა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭოს ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოპეის კომიტეტებმა ნება დართეს საქართველოს ჯანსახკომის ფარმაკო-ქიმიურ ლაბორატორიას შეუდგეს გამომგონებელ აბ. კუჭაიძის მიერ გამომუშავებული წესით ე. წ. სისხლისდენის სწრაფად შემაჩერებელი ბამბისა და დოლბანდის („მარლის") მასობრივად გამოშვებას.

ცდებმა დაადასტურა, რომ ა. კუჭაიძის მიერ სპეციალურ ქიმიურ ხსნარებში დამუშავებული ბამბა ჭრილობაზე დადებისთანავე სწყვეტს სისხლისდენას და იწვევს ჭრილობის სწრაფად შეხორცებას.

მხატვართა კლუბში

24 აპრილს, [illegible] (ფუ[illegible]) საბჭოთა მხატვრების კავშირი აწყობს შემოქმედებითი შეხვედრას სტალინური პრემიის ლაურეატთან, ორდენოსან მოქანდაკე ს. კაკაბაძესთან. შეხვედრაზე ლაურეატი გამოვა მოხსენებით თავისი შემოქმედების შესახებ.

ლექციები მოხსენებები

23 აპრილს, საღამოს 8½ საათზე, მიასნიკოვის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პრ., № 38) შესდგება ამხ. **სულეიმანის ლექცია** (რუსულ ენაზე), თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".**

ბილეთი ღირს 1 მან. ბილეთები იყიდება მოლოტოვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში, მოლოტოვის რაიონის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, მიასნიკოვის სახელობის კლუბის სალაროში.

24 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ. № 134) შესდგება პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების ეკონომიური განათლების სემინარის მეორე მეცადინეობა. თემა: **„წარმოების ტექნოლოგიური დისციპლინა — საწარმოს ნორმალური მუშაობისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საფუძველია".**

24 აპრილს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართულ ენაზე ჩატარდება ჯგუფური კონსულტაცია: **„საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობა და კურსი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ".**

კონსულტაციას ჩაატარებს **ამხ. ბიბილეიშვილი.**

24 აპრილს, საღამოს 8½ საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქ. № 2) შესდგება ამხ. **ქლენტის** ლექცია (რუსულ ენაზე), თემა: **„ვ. მაიაკოვსკი — სოციალისტური რევოლუციის პოეტი".**

ბილეთი ღირს 1 მან. ბილეთები იყიდება კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში.

რადიოგადაცემა დღეს

10.50—კონცერტი; 11.15 — მუსიკალური ანტრაქტი; 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.00 — სიმფონიური კონცერტი (მონერთა და სკოლამდელთათვის); 12.45—საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა; 12.58 — დროის შემოწმება; 13.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება; 13.15—მელოდიური სიმღერები და რომანსები (ტრანსლაცია მოსკოვიდან); 14.15—მუსიკალური გადაცემა; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე: „საბჭოთა ყვავილის მარშალი ს. მ. ბუდიონი"; 17.30—კონცერტი; 18.00 — უკანასკნელი ცნობები; 18.05—კონცერტი უმცროს მოსწავლეთათვის; 18.58 — დროის შემოწმება; 19.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30—რუსული ხალხური სიმღერები; 20.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.45—ვოკალური ანსამბლის გამოსვლა რიაზნოვის ხელმძღვანელობით; 23.00—კონცერტი: „შექსპირი საოპერო და სიმფონიურ მუსიკაში" (გადაცემა მიძღვნილია შექსპირის გარდაცვალებიდან 325 წლისთავისადმი); 00.10 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (ტრანსლაცია მოსკოვიდან).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და 26 კომ. სახ. — „ბოგდან ხმელნიცკი", დამკვრელი—„შემთხვევა ვულკანზე", კომკავშირელი — „გულადი ნაზარა", ლუქსემბურგის სახ. — „გულადი ნაზარა", კომინტერნი — „საყვარელი ქალიშვილი", განთიადი — „მუსიკალური ისტორია", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „გმირის ძმა", სახკვების კავშირის კლუბი—„დუბროვსკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

23 აპრილს **დაისი**

24 აპრილს მე-6 აბ. მე-12 წარმ. **ტრავიატა**

25 აპრილს **ქეთო და კოტე**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

23 აპრილს **უკანასკნელი რაინდი**

24 აპრილს მე-2 აბ. მე-9 წარმ. **ჭიქა წყალი**

25 აპრილს **ლალატი**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

23 აპრილს **კრემლის კურანტები**

24 აპრილს **მარგარიტა გოტიე**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

ექიმი კონტროვიჩი

თმის მკურნალობა და კოსმეტიკა

ელბაქიძის დაღმართი № 21

მეჭეჭების, ლაქების, თმისცვენის მკურნალობა, ნაჭრილობევის, ხვრელებისა და პირის კანის სხვა ნაკლოვანებათა მოშორება. რადიოაქტიური და სხვა სამკურნალო ნიღბები. მიღება 12-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

ქალ. თბილისში მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1941 წლის 25 იანვრის

სავალდებულო დადგენილება

მალარიასთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და ქალ. თბილისის ტერიტორიაზე დაჭაობებული ადგილების ლიკვიდაციის მიზნით, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 14 აგვისტოს № 1565 დადგენილების შესაბამისად, ადგენს:

1. დაევალოს ყველა დაწესებულებას, საწარმოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახლთმმართველობებსა და სახლთმფლობელობებს თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში:

ა) ყველა ორმო, თავმინებებული ჰები, ნაჯაოები და საერთოდ ის ნაკვეთები, სადაც წყალი გუბდება, დააშრონ დახურული დრენაჟის საშუალებით ან ამოავსონ მიწით, ქვიშითა და ხრეშით;

ბ) მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა წყალსადინარი, სარწყავი და საშრობი არხები მოიყვანონ წესრიგში გაწმენდისა და წყლის დინების მოწესრიგების საშუალებით, რათა მათში წყალი არ ჩერდებოდეს, ხოლო შემდეგში შეინახონ ისინი ჯეროვან სისუფთავესა და წესრიგში, არ დაუშვან მათში მცენარეთა გაჩენა და მათი დანაგვიანება;

გ) წყალსადენის აუზები და სასმელი ან სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლით სავსე სხვა რეზერვუარები იქონიონ სათანადო წესრიგში, აუზები და რეზერვუარები გულმოდგინედ გასწმინდონ ხოლმე წყალმცენარეებისაგან და სხვ. (წყალი მათში უნდა განახლდეს 8—10 დღეში ერთხელ მაინც);

დ) ჭები დაიცვან მჭიდროდ მორგებული სახურავებით, სახანძრო კასრებში, გეჯებში ან სხვა ჭურჭელში შენახული წყალი განაახლონ 8—10 დღეში ერთხელ მაინც ან დაიცვან მჭიდროდ მორგებული სახურავებით ან ბადეებით;

ე) სარდაფები, იატაკქვეშა სივრცეები, საკუჭნაოები, ფარდულები, თავლები, საქათმეები, ფეხისადგილები და ყოველგვარი სხვა შენობები, რომლებიც მათ გამგებლობაშია, შეინახონ ჯეროვან სისუფთავეში და იქ ხშირად გასწმინდონ ჰაერი. სარდაფები, სადაც შემჩნეულია გრუნტის ან სხვა წყლის დაგროვება, გააუწყლოვნონ წყლის ამოქაჩვით ან ბადის ნაწყობით;

ვ) ბაღების, პარკების, სკვერების, ბოსტნების, ეზოებისა და მოედნების ტერიტორიაზე მყოფი გუბურები და აუზები გასწმინდონ წყალმცენარეებისაგან, გაუშვან შიგ გამბუზია ან გამოსცვალონ წყალი 8—10 დღეში ერთხელ მაინც, თანახმად არსებული სანიტარული წესებისა;

ზ) წყალსადენის გარეთა ონკანების გარშემო უნდა გაკეთდეს ბეტონის ბაქნები და წყალი მილსადენით ჩაშვებულ იქნას კანალიზაციაში ან ბუნებრივ წყალმიმღებში;

თ) ქვიშისა და ხრეშის, ბელტებისა და თიხის ამოღების სამუშაოთა წარმოების დროს, რომლებიც იწვევენ ამოღრმავებული ადგილების გაჩენას, ეს უკანასკნელნი გამოყენებისთანავე უნდა ამოივსოს;

ი) ყველა წყალსატევი — კილოს მატლების კერები, რომლებიც რატომღაც მოსპობილი არ არის, — პერიოდულად უნდა დამუშავდეს მაზუთით ან ნავთით, თანახმად არსებული სანიტარული წესებისა;

კ) ყოველგვარი ჰიდროტექნიკური და მიწის სამუშაოები თავიანთ ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი ოდენობისა, უნდა აწარმოონ სათანადო სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის მეთვალყურეობით.

2. აკრძალულია ქალაქის მიწის ნაკვეთებზე, მოედნებზე, ეზოებში, ქუჩებში და ტროტუარებზე რუების, ორმოების გათხრა, აუზებისა და სხვ. წყალსატევების მოწყობა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალურ განყოფილებათა ნებართვის გარეშე.

3. აკრძალულია ქუჩებში, ეზოებში, მოედნებსა და ტროტუარებზე გადაყრა ყოველგვარი ჟვარგისი საგნებისა, რომლებშიც შეიძლება ჩადგეს წყალი (გატეხილი ჭურჭელი, თუნუქის კოლოფები, კონსერვის კოლოფები, ვედრები და სხვ.).

4. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სახსანინსპექციისა და მ.-გ. ძალიციის ორგანოებს.

5. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ ადმინისტრატიული წესით დაედებათ ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე.

6. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 10 დღის გასვლის შემდეგ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კოჩლამაზაშვილი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხეთაგური.

1022

საქ. სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველო

აცხადებს,

რომ 1941 წლის 25 აპრილიდან 25 ივნისამდე ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე, იწარმოებს ავტო-მანქანების, რეზინის სვლიანი ტრაქტორების, მოტოციკლეტების და ავტომისაბმელების ნახევარწლიური შემოწმება. ამათანავე იმ ავტომეურნეობაში, სადაც მანქანების რიცხვი 5 ერთეულს აღემატება, შემოწმება იწარმოებს ადგილობრივ გარაჟებში. ხოლო იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ ავტო-მოტორიანი ტრანსპორტი 5 ერთეულზე ნაკლები რაოდენობით, უნდა წარუდგინონ იგი შესამოწმებლად თბილისში ავტოინსპექციას—ძერჟინსკის ქ. № 22, საქართველოს სსრ რაიონებში კი რაიონულ ავტო-ინსპექტორებს.

რემონტში (ურეზინოდ) ან მივლინებაში მყოფ ავტომანქანებზე ავტომეურნეობანი ვალდებულნი არიან ზემოთ აღნიშნულ ვადაში წარუდგინონ წერილობითი ცნობა საქართველოს სახ. ავტოინსპექციას—ძერჟინსკის ქ. № 22-ში.

ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკურ შემოწმებაზე წარდგენისას აუცილებლად საჭიროა თან იქონიონ: 1) მანქანის პასპორტი, 2) სახ. ბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი იმის შესახებ, რომ § 7-ის და მე-12 კარის მიხედვით გადახდილია მანქანის ტექნიკური შემოწმებისათვის 5 მანეთი და თვითეულ მოტოციკლეტის, რეზინის სვლიანი ტრაქტორებისა და ავტომისაბმელების შემოწმებისათვის—3 მანეთი, 3) ცნობა იმ სახალხო კომისარიატისა, რომელსაც დაწესებულება ექვემდებარება, და 4) კილომეტრთა რაოდენობა, რაც თვითეულ მანქანას გავლილი აქვს შემოწმების დღისათვის.

ის ავტომეურნეობანი, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ წარადგენენ მანქანებს შესამოწმებლად, ან არ აცნობებენ სახ. ავტოინსპექციას, რომ მათი მანქანები რემონტში ან მივლინებაშია ან და ურეზინოდ დგანან, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთამდე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მილიციის მაიორი გუჯაბიძე.

სახ. ავტოინსპექციის უფროსი მილიციის ლეიტენანტი ხოროშილოვი.

125

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო) ტელ. № 3-11-93

ესაჭიროება დამლაგებლები

პირობების გასაგებად მიმართეთ ამხ. ჟაჯინს.

დედა თამარ ორაგველიძე-ბასილაიასი, მამა გიორგი ბასილაია იუწყებიან **პატარა ნანულის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IV 7 ს. გამოსვენება 24/IV 6 ს. ჰავჭავაძის, 9. 11593

შვილები გიორგი, კაპიტონ, არაკლი, მინა, პელაგია, რძლები ძარგი, მარო, სიძე გუჯის ჯანჯღავა იუწყებიან **ლუკა ბარდღუს-ძე ბერულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IV ს. კურზუში (გეგეჭკორის რ.).

მშობლები ლომბა, გიორგი (ხუტური), ძმები ჯიმშერ, ვლადიმერ, ბიძა იოსებ ჩიტიშვილი იუწყებიან **ნანული გიორგის-ასულ ჭოლრჯიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IV 8 ს. გამოსვენება 24/IV 6 ს. გორის, 25. 11590

მარო კვირკელია იუწყება პროფესორ **ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას.

მამიდა კესარია, მამიდაშვილი კოწია მეუღლით პელაგიათი, შვილებით მოთათი, გიორგით ზინაიდა, შვილები, ბიძაშვილი გაიანე ქმრით ვ. კუნჭულიათი იუწყებიან **ჟორა ქიშვარდის-ძე იმნაიშვილის** გარდაცვალებას. 11580

დედა მინადორა, დები სონა, აგრაფინა, იულია, ძმები კონდრატე, ადამი და ბიძა ჩხაიძეები იუწყებიან, რომ 25/IV აბაშაში დანიშნულია **პოლია ჩხაიძე-აგრამიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 11581

ძმები მიხეილ, დავით, კონსტანტინე, ლევან დიასამიძეები ოჯახებით, ეკატერინე წერეთელი იუწყებიან **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დიასამიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IV 8 ს. გამოსვენება 24/IV 6 ს. ლენინის, 4, კუკიის სასაფლაოზე.

დედა კალისტინე, მეუღლე სონია, შვილები ქეთო, ჩუტუ, შოთა, გურამ, სიძე ვ. დაუშვილი, შვილიშვილი თამაზიკო იუწყებიან **ივანე კონსტანტინეს-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 25, 26/IV 8 ს. ბარნოვის I ჩიხი, 4, დაკრძალვა 27/IV 3 ს. 11583

მეუღლე კლიმენტი, შვილი ტიტიკო, რძალი ნადეჟდა შვილებით იუწყებიან **ანასტასია ბესარიონის-ასულ ჟანტურაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IV 7 ს. გამოსვენება 24/IV 7 ს. 25 თებერვლის, 8, კუკიის სასაფლაოზე. 11584

ძმები მიხაკო, გრიგოლ, გიორგი ცოლშვილით, რძლები ტასო, ალვასი შვილებით ნადირაძეები იუწყებიან **ანასტასია (ტასო) ბესარიონის-ასულ ჟანტურაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IV 7 ს. 25 თებერვლის, 8. 11585

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი და კომკავშირის ორგანიზაცია იუწყებიან ინსტიტუტის დირექტორის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ორდენოსანი პროფესორის **ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას. 11589

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიული კლინიკა და ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილება იუწყებიან მასწავლებლის და ხელმძღვანელის, პროფესორ **ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას. 11591

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროფესორ - პედაგოგიური პერსონალი და მსმენელი ექიმები იუწყებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსანი პროფესორის **ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას.

მამა ანდრო, ცოლი განაშა, შვილი შუქურა, ძმები ალიო, იონა, დები ფედოსი, ნადია, დორა, რძლები პილი, ანო, ცაცა მირცხულავები შვილებით იუწყებიან **ბიქტორ ანდრიას-ძე მირცხულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/IV 6½ ს. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. ფალიაშვილის ქ. № 34.

შვილი თამარ გაბაშვილი, შვილიშვილები ქ. კორძაია, თ. ხუჯაძე, სიძეები ქ. კორძაია, ა. ხუჯაძე იუწყებიან **ნინო ამირეჯიბის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IV 6 ს. ქალ. II საავადმყოფოდან. ვერის სასაფლაოზე. 11586

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—83; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის —3—80—84 სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24, პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

აწყობილი და მატრიცირებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", თბილისი, ლენინის ქ. № 28; დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკაში", რუსთაველის პროსპექტი № 36. უე 21669